ჩვენ თქვენდამი ასეთივე მეგობრული გრძნობებით ვართ გამსჭვალული. დემოკრატიული იემენი სოციალისტური პარტიისა და თავისი ხალხის სახით მეგობარ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას პრინციპულ საფუძველზე აკავშირებს, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის სტრატეგიით, იმპერიალიზმის, სიონიზმის, რასიზმის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის, სოციალიზმის გავლენის შემდგომი ზრდისათვის, ჩვენს პლანეტაზე მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებისათვის ბრძოლის ამოცანებით ხელმძღვანელობს. ბედნიერი ვართ, რომ დღეს ვიმყოფებით საბჭოთა კავშირის — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქ მოსკოვში და შესაძლებლობა გვაქვს განვავრცოდთ გამოცდილების გაზიარება ჩვენს პარტიებსა და ქვეყნებს შორის, აგრეთვე განვიხილოთ ჩვენი მეგობარი ხალხების მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების სხვადასხვა ასპექტი.

განვლილი წლების მანძილზე ჩვენს შორის გაიმართა მთელი რიგი შეხვედრები უმაღლეს დონეზე. ამის შედეგად გაიდო მეგობრობის იმპერიალიზმისა და მისი აგრესიული ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლის დროს კიდევ უფრო განმტკიცდა. და დღეს სავსებით დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ახალი შეხვედრა, რომელიც მეგობრობისა და ამხანაგური თანამშრომლობის სულისკვეთებით ჩაივლის, გააძლიერებს და განამტკიცებს ჩვენი მეგობრობის საფუძვლებს, გახდის ურყევს ჩვენი ხალხების მტერთა წინაშე.

უკანასკნელი წლების მანძილზე იმპერიალისტური და რეაქციული ძალები ფსიქოლოგიურ და პროპაგანდისტულ კამპანიებს აჩაღებდნენ დემოკრატიული იემენის წინააღმდეგ, შეთქმულებებს აწყობდნენ, რათა სახელი გაიტეხათ მისი პოლიტიკური კურსისათვის, ავრცელებდნენ ჭორებსა და ცილისწამებას საბჭოთა კავშირთან ჩვენი მეგობრობის შესახებ. ჩვენ არ ვაქცევდით და არც უნდა მივაქციოთ ყურადღება ჩვენი მტრების ყალბ მტკიცებებს. მეგობრობის გზა, რომელსაც ვადგავართ, სწორი გზაა, იგი შეესაბამება ჩვენი ხალხების ნებასა და მისწრაფებებს.

ჩვენ დემოკრატიულ იემენში სამართლიანად ვამაყობთ და ვუფრთხილდებით საბჭოთა კავშირთან მეგობრობასა და თანამშრომლობას. მეგობარმა საბჭოთა ქვეყანამ მხარი დაუჭირა ჩვენს ხალხს განსაცდელის ჟამს, გულწრფელი და უანგარო დახმარება გაუწია ჩვენი ახალგაზრდა რევოლუციური რეჟიმის დაცვის საქმეში. სსრ კავშირისა და იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური, ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შეთანხმებათა შესაბამისად, დემოკრატიულ იემენში შეიქმნა ბევრი ობიექტი სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, კულტურის დარგში, გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის დახმარებით მომდინარეობს ნავთობის დაზვერვა, ეროვნული კადრების მომზადებისათვის მუშაობა. ჩვენ ამაყოფილი ვართ ჩვენი პარტიული კავშირურთიერთობის განვითარებით და გვწამს, რომ ეს ვიზიტი ახალ ფურცელს გადაშლის ჩვენს ქვეყნებს ურთიერთობაში, უფრო ღრმა და მრავალმხრივ ხასიათს მიანიჭებს მას. ჩვენი თანამშრომლობა ხალხთა შორის ურთიერთობის ნიშუშია და, ამ დარბაზში არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ საბჭოთა კავშირი იყო და არის იმ ხალხებთან სოლიდარობისა და ძმობის ღირსეული მაგალითი, რომლებმაც ახლახან მოიპოვეს დამოუკიდებლობა. დემოკრატიული იემენი ავითარებს ეკონომიკურ თანამშრომლობას სხვა სოციალისტურ ქვეყნებთანაც. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარებამ ხელშეწყობი პირობები შეუქმნა სოციალური პროგრესის ჭეშმარიტ ნაგებობას ჩვენს წინსვლას. ჩვენს პარტიას მიაჩნია, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში მეთვალყურე ჩვენი ქვეყნის შესვლა ფართო პერსპექტივებს დაუსახავს ჩვენს ერთობლივ თანამშრომლობას, რაც ჩვენს ქვეყნებში რევოლუციური პროცესის დაჩქარების საწინდარია და შეესაბამება ჩვენი ორი ქვეყნის ინტერესებს. სოციალისტურ ქვეყნებთან ჩვენი ურთიერთობა დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა იმ საქმეში, რომ შექმნილიყო საერთაშორისო ეკონომიკური კავშირურთიერთობის სისტემა, რომელიც ემყარება თანასწორუფლებიან და სამართლიან შეთანხმებებს.

დემოკრატიული იემენის ხალხი დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტიდან ყოველ ღონეს ხმარობს, რათა გადაწყვიტოს პრობლემები, რომლებიც ჩვენი რევოლუციის წინაშე დგას და რომლებიც წარსულის კოლონიური მემკვიდრეობის შედეგია. შეიქმნა და მოქმედებს სახელმწიფო და ეკონომიკური სექტორები ეკონომიკაში, ხალხისათვის უზრუნველყოფილია განათლების, სამედიცინო მომსახურების უფლება, მაღლდება მისი ცხოვრების დონე. უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ დარგებში მნიშვნელოვანი რევოლუციური გარდაქმნები განხორციელდა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია იემენის სოციალისტური პარტიის შექმნა, რომელიც თავის საქმიანობაში მეცნიერული სოციალიზმის თეორიით ხელმძღვანელობს; დამყარდა აგრეთვე პოლიტიკური ძალაუფლება, რომელიც გამოხატავს მშრომელთა ინტერესებს. მეცნიერული სოციალიზმის თეორიის შესაბამისად, ახლაც ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა შევასრულოთ იემენის სოციალისტური პარტიის გადაწყვეტილებანი და დირექტივები, რომელთა მიზანია ჩვენი ეროვნული ეკონომიკის აღმავლობა, შრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მათი როლის გაძლიერება პოლიტიკური ძალაუფლების აპარატში.

ჩვენი პარტიის პროგრამასა და საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პროგრესულ დემოკრატიულ საფუძველზე იემენელი ხალხის ერთიანობის საკითხს, ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა მივაღწიოთ ასეთ ერთიანობას მშვიდობის პირობებში და ვიბრძვით დაძაბულობისა და კონფლიქტის განახლების წინააღმდეგ, რისკენაც იმპერიალისტური და რეაქციული წრეები გვიბიძგებენ.

ჩვენი პარტიის პოლიტიკა მიზნად ისახავს არა მარტო განახორციელოს რევოლუციური გარდაქმნები დემოკრატიულ იემენში, არამედ ხელი შეუწყოს კიდეც საერთო არაბული და საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას, სტაბილურობის, უშიშროების, ხალხთა მშვიდობის ატმოსფეროს შექმნას. იმაში, რაც ეხება მდგომარეობას არაბეთის ნახევარკუნძულზე, სპარსეთის ყურეში, აფრიკის რქის რაიონში, ინდოეთის ოკეანის აუზში, ჩვენი სახელმწიფოს მტკიცე პოლიტიკა ემყარება ამ რაიონის ყველა სახელმწიფოს, მათი სოციალისტური წყობილების მიუხედავად, მშვიდობიანი თანაარსებობისა და ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპებს.

ჩვენ მტკიცედ ვიღაშქრებთ სამხეთრო ბლოკებისა და უცხოელთის ბაზების წინააღმდეგ, რომელთა შექმნასაც ცდილობს მსოფლიო იმპერიალიზმი. ამასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყანა გადაჭრით გმობს იმპერიალისტების პროვოკაციულ მოქმედებას, მათ აგრესიულ ზრახვებს და განსაკუთრებით მათ გეგმებს დაიპყრონ ამ რაიონის ნავთობის სამდიდრე.

რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას, დემოკრატიული იემენი ითვალისწინებს, რომ აქ მშვიდობის დამყარება შეიძლებელია ისე, თუ ისრაელი აგრესორი მთლიანად და უპირობოდ არ გაიყვანს ჯარებს 1967 წელს დაპყრობილი ყველა არაბული ტერიტორიიდან და არ უზრუნველყოფს პალესტინელი ხალხის კანონიერ უფლებებს, მათ შორის თვითგამორკვევისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელობით საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლებას. ჩვენს ქვეყანას კვლავაც მიაჩნია, რომ კემპ-დეიდის მოლაპარაკებათა მონაწილეა სამი მხარე ცხოვრობს ილუზიებით, რომლებსაც ისინი თავს დაადწევენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯარს იტყვიან თავიანთ უსამართლო შეთანხმებებზე, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება არაბი ხალხის ინტერესებსა და სუვერენიტეტს. ამასთან დაკავშირებით დემოკრატიული იემენი დარწმუნებულია, რომ კაპიტულანტური სეპარატული შეთქმულების ჩაშლა, ისრაელის ოკუპაციის შეწყვეტა და სამხრეთ ლიბანის წინააღმდეგ აგრესიის ახალი აქტების თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ არაბული სახელმწიფოების მტკიცე სბრძოლო სოლიდარობის, საბჭოთა კავშირთან, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან მათი მჭიდრო თანამშრომლობის შემწეობით.

ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს ნამიბიის, ზიმბაბვეს, სამხრეთ აფრიკის ხალხთა ბრძოლას თეთრკანიანი უმცირესობის მოძალეობის წინააღმდეგ, ეროვნული თავისუფლებისა და სრული დამოუკიდებლობის მიღწევისათვის.

დემოკრატიული იემენი არა მარტო ემხრობა ჩაგრულ ხალხებს მათს ბრძოლაში ეროვნული განთავისუფლებისა და სხვა ხალხებთან თანასწორობისათვის, არამედ მხარს უჭერს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, გამალებული სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პოლიტიკას. მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად იგი მოუწოდებს ხალხებს იხსნან შენელების პლანეტა ომისა და ნგრევის საშინელებისაგან. ამ თვალსაზრისით ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს საბჭოთა კავშირის პოლიტიკას, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავება. ჩვენ კმაყოფილებას გამოვთქვამთ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების დადების გამო და გულწრფელად ვუსურვებთ წარმატებას იმ ღონისძიებებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მომზადებისათვის. ჩვენი ხალხების სახელით, რომლებიც ქვეყნად მშვიდობას ეესწრაფვიან, მოვითხოვთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ასეთივე კონსტრუქციული მიდგომა გამოიჩინოს. ეს არის მშვიდობის ერთადერთი გზა, ისის გზა, რომ სახსრები, რომლებიც ამჟამად გამალებული შეიარაღებისათვის იხარჯება, მოხმარდეს ხალხების კეთილდღეობას, მათ მატერიალურ და კულტურულ პროგრესს. ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება და პატივისცემა გამოიჩვია საბჭოთა კავშირის ბადაწყვეტილებამ შეამციროს თავისი ჯარების რიცხვი ცენტრალურ ევროპაში. ეს, ჩვენი აზრით, კიდევ ერთხელ მეყოფოდა ადასტურებს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, მის გულწრფელ სურვილს იხსნას ევროპა და მასთან ერთად მთელი მსოფლიო, ახალი მსოფლიო ომის საფრთხისაგან. ჩვენ მოვუწოდებთ ნატოს წევრ სახელმწიფოებს უყოყმანოდ მიბაძონ საბჭოთა კავშირის მაგალითს. ამასთან დაკავშირებით მსურს აღვნიშნო, რომ დემოკრატიულ იემენში დიდად აფასებენ იმ მეცადინეობას, რომელსაც ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ეწევა დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებისათვის, საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებისათვის.

რამდენიმე დღის შემდეგ მეგობარი საბჭოთა კავშირის ხალხი, და მასთან ერთად მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავს, ისტორიაში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის წლისთავს, კაპიტალიზმის რღვევის დასაწყისისა და სოციალიზმზე კაცობრობის გადასვლის წლისთავს. ამ მომენტიდან მოყოლებული საბჭოთა კავშირმა არა მარტო გადაწყვიტა ისეთი ურთულესი ამოცანები, როგორიც არის სოციალიზმის აშენება და ძმური ურთიერთობის დამყარება ეროვნებებს შორის, იმპერიალისტური აგრესიის მოგერიება, ქვეყნად მშვიდობის საფუძვლების განმტკიცება, არამედ იგი გახდა იმ ახალი იდეების გავრცელების ცენტრი, რომლებიც მთელ კაცობრიობას გზას უნათებს თავისუფლებისათვის, სამართლიანობისათვის თანასწორობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. და დღეს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გავლილ რამდენიმე ათწლეულში, ქვეყნად ძირეული ცვლილებები მოხდა. ბევრ ქვეყანაში გაიმარჯვა სოციალიზმმა, შეიქმნა მსოფლიო სოციალისტური სისტემა. ბევრმა ხალხმა დაიწყო თავი კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის უღელს და მშვიდობისა და პროგრესის გზას დაადგა.

ნება მიბოძეთ იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ყველა იემენელი მშრომელის სახელით გულითადად მოგილოცოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავი. ვსარგებლობ ამ შემთხვევით და, მსურს განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის საქმეში შემდგომი წარმატებები ვუსურვო საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს.

ნება მიბოძეთ, წარმოვთქვა თქვენი ჯანმრთელობისა და ბედნიერების სადღეგრძელო, ვადღეგრძელო ყველა აქ დამსწრე საბჭოთა ამხანაგი. გაუმარჯოს იემენის სოციალისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მტკიცე ურთიერთობას!

გაუმარჯოს იემენისა და საბჭოთა ხალხების მეგობრობასა და თანამშრომლობას!

გაუმარჯოს მეცნიერულ სოციალიზმსა და პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს!

ამხანაგებო ლ. ი. ბრეჟნევისა და ა. ფ. ისმაილის სიტყვები დიდი ყურადღებით მოისმინეს. მათი სიტყვების დროს არაერთგზის გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ПОЛИТИКУРИ ЦИГНИ

გამოსცა „საგჭოთა საქართველომ“

ლ. ი. ბრეჟნევი. სიტყვა სრულიად საკავშირო კომკავშირის XVIII ყრილობაზე

ავტორთა კოლექტივი. პარტიული მშენებლობა

ავტორთა კოლექტივი. განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუცია

ი. კაჰარავა. ვ. ი. ლენინი და სოციალისტური კულტურის პრობლემები

ა. გონაშვილი. დიალექტიკური მატერიალიზმი — მეცნიერებათა ზოგადი მეთოდოლოგია

ვ. ჭარუმიძე, დ. ჯაბიძე. საქართველოს ახალგაზრდობის შრომითი მამაცობა ყამირზე

გ. ბანძელაძე. თანამედროვეობა და ბედნიერების პრობლემა

გ. სანადირაძე. სახელად სიცოცხლე ჰქვია

ნ. პატოლიჩევი. გამოცდა სიმწიფისა

მ. ახობაძე. სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა — ჩვენი ქვეყნის ძლიერების უშრეტი წყარო

ა. ბელიაევი. იდეოლოგიური ბრძოლა და ლიტერატურა

ავტორთა კოლექტივი. მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები

დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილება

სტუდენტთა რესპუბლიკური აქტივის კრების მასალები

სპეციალური სერიით „პარტიული მშენებლობის საკითხები“:

ნ. რუხაძე. საქალაქო პარტიული ორგანიზაცია და ხარისხის მართვის პრობლემები

ა. ბურჯანაძე. სოფლად კულტურული მშენებლობის შესახებ

გ. საითიძე. თავდადებული შრომის ფასად.

ვ. ქრისტესიაშვილი. ახალი მიჯნების დამლაშქვრელნი

საქართველოს პროფკავშირთა სტუმრები

საინტერესო, სასარგებლო შეხვედრები

— **ჩვენ** ინტერესით გავეცანით საქართველოს პროფკავშირთა საქმიანობას, რკინიგზელთა შრომის, ყოფისა და დასვენების პირობებს, ბევრი სასარგებლო რამ გავიგეთ, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს იაპონიის რკინიგზელთა პროფკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა ტაკიოსი ხანადამ.

დელეგაციის წევრები ესტუმრნენ თბილისის მთელ რიგ საწარმოებს, სადაც საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ, კერძოდ, ადმინისტრაციასა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს შორის კოლექტიური ხელშეკრულების დადების პრაქტიკას. სტუმრები იყვნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, ხელოვნების მუზეუმში, დაესწრნენ სამხატვრო თვითმმართველების კონცერტს რკინიგზელის სახლში.

✦

ჩვენს რესპუბლიკაში სამ დღეს იმყოფებოდნენ კანადის ფოსტალიონთა პროფკავშირის ვიცე-პრეზიდენტები ნორმ ნელსონი და ჯაკ დეკარდე. ლენინგრადის შემდეგ მათ განაგრძეს კავშირგაბმულობის მუშაკთა მუშაობის გაცნობა საქართველოში. კანადელები იყვნენ თბილისის, მცხეთის, ბორჯომის, კავშირგაბმულობის განყოფილებებში, გაეცნენ რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობებს.

საერთაშორისო ცხოვრება

ლენინის ჭეშმარიტი

ეროვნული

განიარაღებისათვის მოქმედების კვირეული

მთელ მსოფლიოში დაიწყო განიარაღებისათვის მოქმედების კვირეული, რომელიც ეწყობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალური სესიისა და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით. მისი დაწყება დაემთხვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო დღეს, რომელიც 24 ოქტომბერს აღინიშნა.

ნიუ-იორკი. განიარაღებისათვის მოქმედების კვირეულის მოწყობა მიზნად ისახავს ერთხელ კიდევ მოაგონოს მთელ მსოფლიოს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი მიზანია მტკიცე მშვიდობის დამყარება, ნთქვამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კ. ვალდჰაიმის წერილში.

პარიზი. განიარაღებისათვის მოქმედების კვირეულთან დაკავშირებით საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჟ. მარშემ საფრანგეთის პრეზიდენტს ვ. ჟისკარ დესტენს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ხაზგასმულია, რომ კომუნისტებს განიარაღება სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხად მიაჩნიათ. ხალხების უფლება — იცხოვრონ უშიშროებისა და მშვიდობის პირობებში, აღნიშნულია დოკუმენტში, ადამიანის განუყოფელი უფლებაა.

ჰელსინკი. სამშენებლო და ხის დამამუშავებელი მრეწველობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მშრომელთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანებამ, რომლის სამდივნო ჰელსინკში მდებარეობს, განიარაღებისათვის მოქმედების კვირეულთან დაკავშირებით ყველა მასში შემავალ და მეგობარ ორგანიზაციებს მოუწოდა აქტიურად ჩაებან ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე გაშლილ განიარაღების, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების კამპანიაში.

ზამბია

ახალი პროვოკაციები

ლუსაკა, 25 ოქტომბერი. ზამბიის პრეზიდენტი კ. კაუნდა იუწყება, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და როდეზიის რასისტულმა რეჟიმებმა ახალი შეიარაღებული პროვოკაციები მოაწყეს ზამბიის წინააღმდეგ.

ადგილობრივი ტელევიზიით გამოსვლისას მან თქვა, რომ 400 როდეზიელი ჯარისკაცი შეიჭრა ქვეყნის ტერიტორიაზე მდინარე ზამბეზის ხეობაში, ხოლო 600 სამხრეთაფრიკელი ჯარისკაცი — დასავლეთ პროვინციის სენანგისა და სეშეკის ოლქებში.

მიმდინარე წლის მარტიდან დაწყებული, პრეტორიის რეჟიმი განუწყვეტლივ გზავნის ზამბიის ტერიტორიაზე 100-200 კაციან, დივერსიულ რაზმებს. არ წყდება სოლსბერის უკანონო ხელისუფალთა შეიარაღებული პროვოკაციები. რასისტები ცდილობენ მწყობრიდან გამოიყვანონ ქვეყნის სატრანსპორტო მაგისტრალები.

ჩეხოსლოვაკია

სასამართლოს განაჩენი

პრაღა, 24 ოქტომბერი. დღეს ჩეხოსლოვაკიის გაზეთებში გამოქვეყნდა პრაღის საქალაქო სასამართლოს განაჩენი ექვსი ბრალდებულის საქმის გამო.

სასამართლომ ყველა ბრალდებული დანაშაულად ცნო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ ძირგამომთხრელ საქმიანობაში და მიუსაჯა მათ სხვადასხვა ვადის პატიმრობა. ულს მიესაჯა 5 წლის, ბენდას — 4 წლის, დინსტბირს —3 წლის, ჰაველს — 4,5 წლის და ბედნარეკოვას — 3 წლის პატიმრობა, ნემცოვას პირობითად 2 წლის თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ამერიკის შეერთებული შტატები

უგულგელყოფენ გაფრთხილებას

ყოფილი შაჰი მოგზაურობს

□

ვაშინგტონი, 24 ოქტომბერი. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ ირანის ყოფილი შაჰი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება. ამასთან მან უარი თქვა დაეზუსტებინა, თუ რამდენ ხანს დარჩება შაჰი ქვეყანაში. აუოშიიტედ პრესის სააგენტო ამასთან დაკავშირებით იტყობინება, რომ ყოფილი შაჰისათვის შესასვლელი ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება სახელმწიფო დეპარტამენტმა თეთრ სახლთან კონსულტაციების შემდეგ მიიღო.

როგორც ცნობილია, თავის დროზე ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად გაფრთხილა ამერიკის შეერთებული შტატები, რომ შაჰისა და მისი ოჯახის წევრების პასპორტებს არა აქვს კანონიერი ძალა, ამიტომ მათთვის ყოველი ვიზის გაცემა ირანის მიმართ არამეგობრულ აქტად იქნება მიჩნეული და უარყოფითს გავლენას მოახდენს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ამ ქვეყნის ურთიერთობაზე.

თანამშრომლობა ფართოვდება

ვაშინგტონი, 25 ოქტომბერი. ქალაქ პრინსტონში გაიმართა სახოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-ამერიკის კომისიის მესამე სხდომა. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს უკანასკნელ წლებში თანამშრომლობის შედეგები და შეათანხმეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და ამერიკის შემეცნებითი საზოგადოების საბჭოს ურთიერთობის განვითარების ახალი პროგრამა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია და ამერიკის შემეცნებითი საზოგადოებები საბჭო უკვე ოთხი წელია ახორციელებენ თანამშრომლობის პროგრამებს, რომელთა ფარგლებში ხდება სპეციალისტთა გაცვლა, ეწყობა სემინარები და სიმპოზიუმები საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში, ხდება პარალელურ თემებზე მეცნიერული ნაშრომების შედეგების გაზიარება. პრინსტონში გამართულ სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელი ორწლიანი შეთანხმებული პროგრამა წარმატებით შესრულდა ყველა მიმართულებით. ახალი პროგრამა მიზნად ისახავს ამ სასარგებლო ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

საერთაშორისო კვლევისა და გაცვლის სამმართველოს აღმასრულებელმა დირექტორმა ალენ კასოფმა თქვა, რომ ძალზე დიდმნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში თანამშრომლობის გაფართოებისათვის. იგი მოიცავს სრულიად განსხვავებულ დარგებს — ისტორიას, ლიტერატურას, საერთაშორისო ურთიერთობას, ფსიქოლოგიას, ფილოსოფიასა და სხვ. ახლა გადაწყვეტილია მათ დაემატოს შრომითი ურთიერთობის ისტორია.

ჯ. კარტერის გადაწყვეტილება

ვაშინგტონი, 24 ოქტომბერი. აშშ-ის პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა კონგრესს სარატიფიკაციოდ წარუდგინა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სავაჭრო შეთანხმება, რომელსაც მიმდინარე წლის ივლისში მოაწერეს ხელი პეკინში. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც ფაქტობრივად იწონებს ვაჭრობაში ჩინეთისათვის უმტესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭებას.

ესპანეთი

„ულტრებს“?

ბელგრადი. ესპანეთის ულტრამემარჯვენენი, ისევ ულტრამემარცხენენი, აღნიშნა ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალურმა მდივანმა ფელიპე გონსალესმა, ცდილობენ ასეთი აქციებით პროვოკაციულად გამოიწვიონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სამხედრო პირთა ჩარევა, რასაც შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს.

ამ გაფრთხილებას რეალური საფუძველი აქვს. სწორედ იმ დღეებში, როცა ტერორმა თავის კულმინაციას მიაღწია, ზოგიერთმა გენერალმა აშკარად დაიწყო დრტვინვა მთავრობის, მათი აზრით, „მეტისმეტად ლიბერალური“ მოქმედების გამო, მოითხოვა უფრო მტკიცე ღონისძიებანი, თუ საჭირო გახდა — ბასკეთში საგანგებო წესების გამოცხადება. ამავე დროს ბილბაოში, სან-სებასტიანსა და ბასკეთის სხვა ქალაქებში მემარჯვენეებმა მოაწყეს მანიფესტაციები, რომლებმაც ჩაიარა ლოზუნგით „ხელისუფლება — არმიას“.

რაც შეეხება კატალონიას, სადაც ასევე მიმდინარეობს საარჩევნო კამპანია, ამ ოლქში შედარებით მშვიდი ვითარებაა, რაც მთელი რიგი ისტორიული და პოლიტიკური პირობებით აიხსნება.

უკანასკნელ ხანს ესპანეთმა დემოკრატიულ პროცესთან დაკავშირებით ბევრი ძნელი მომენტი განიცადა, მაგრამ იგი, ყოველთვის სძლევდა წამოჭრილ სიძნელეებს. ამიტომ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ქვეყანა ამჯერადაც წარმატებით დაძლევს ისეთ დიდმნიშვნელოვან ეტაპს, როგორიც არის ეროვნული პ

მრავალფეროვნება, ოსტატობა

რამდენიმე დღეა თბილისში მიმდინარეობს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მორიგი შემოქმედებითი პლენუმი, რომელიც შეაჯამებს უკანასკნელი წლების მანძილზე ქართველ კომპოზიტორთა მუშაობის შედეგებს.

ქართული მუსიკა საპლენუმო კონცერტებზე წარმოდგენილია მთელი თავისი მრავალფეროვნებით: საოპერო, კამერული, სიმფონიური და საგუნდო მუსიკა. საგულისხმოა, რომ პლენუმზე ამჯერად დიდი ადგილი ეთმობა აფხაზეთისა და ოსეთის კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. უნდა ითქვას, რომ აფხაზური და ოსური მუსიკა არასოდეს არ ყოფილა ასე ფართოდ წარმოდგენილი საქართველოს კომპოზიტორთა პლენუმზე.

ახლანდელ შემოქმედებით დათვალიერებაში საგანგებო ყურადღება ეთმობა სიმფონიურ და კამერულ მუსიკას. პროგრამაშია ნაწარმოებები, რომლებიც ცხადყოფს ამ ჟანრის მუსიკის სტილისტურ მრავალფეროვნებას.

სიმფონიური მუსიკის კონცერტებზე აღიერდა შ. დავიდოვის ბალეტის „ვეფხისა და მოყმის“ ფრაგმენტები, ოსი კომპოზიტორის ფ. ალბოროვის სიუიტა სიმფონიური ორკესტრისათვის, რ. თოხაძის „გურული კაპრიჩიო“ სიმფონიური ორკესტრისათვის, ბ. კვერნაძის „სადღესასწაულო უვერტიურა“ და სხვ. დიდი წარმატება ხვდა ს. ციხლაძის IV სიმფონიას („12 ეპიზოდი“) და ფ. ღლონტის VI სიმფონიას, რომლის შესრულებაში მონაწილეობდა რიგის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტი ანგელინა ვოლიკი (მეცო-სოპრანო). სასიამოვნოა, რომ უფროსი თაობის კომპოზიტორთა გვერდით აღიერდა და წარმატება ხვდა ახალგაზრდა კომპოზიტორის ვ. ჭულუხაძის სიმფონიურ პოემას „ნიგვზუხინაკაის“, რომელიც თანამედროვე სულისკვეთებით არის გამსჭვალული.

კამერული მუსიკის კონცერტების პროგრამა წარმოდგენილი იყო ს. ციხლაძის, მ. შუღლიაშვილის, გ. ციციშვილის, ო. გორდელის და სხვათა ნაწარმოებებით. ყურადღების ცენტრში იყო კომპოზიტორი ს. ციხლაძე. ამჯერად შესრულდა შოსტაკოვიჩის ხსოვნისადმი მიძღვნილი IX კვარტეტი, რომელიც კომპოზიტორისათვის ჩვეული მაღალი პროფესიულობა დონით გამოირჩევა. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ა. შავერზაშვილის საფორტეპიანო ტრიომ და ი. ბარდანაშვილის კონცერტმა გიტარისა და კამერული ორკესტრისათვის.

საგუნდო მუსიკის კონცერტზე მოისმინეს რ. ლაღიძის, შ. ჯოჯუას, მ. დავიდოვისა და სხვათა ნაწარმოებები. თავისი მონუმენტური მასშტაბითა და მხატვრული ამოცანის სირთულით (ცენტრალური ადგილი დაიკავა ო. თაქთაქიშვილის „სიერო ჰიმნებმა“ ვაჟთა სამმაგი კაპელა გუნდისათვის (ქართული ხალხური საგალობლების, რუსთაველის, დემეტრე I-ისა და სიმონ ჩიქოვანის ტექსტებზე). ნაწარმოები მიეძღვნა ქართული ლიტერატურის უძველესი ძეგლის „შუშანიკის წამების“ მე-1500 წლისთავს. ჩვენ კვლავ ვიხილეთ ხელოვანი, რომელიც ერთგული რჩება თავისი შემოქმედებითი მრწამსისა.

1979 წელი ბავშვის წელია და, სასიამოვნოა, რომ ბევრი ქართველი კომპოზიტორის მოღვაწეობა ამ მხრივ ნაყოფიერია. საბავშვო მუსიკა პლენუმზე მუსიკალურ-თეატრალური ჟანრით იყო წარმოდგენილი. კერძოდ, შესრულდა კომპოზიტორების მ. დავითაშვილისა და შ. ჯოჯუას საბავშვო ოპერები „ნაცარქექია“ და „დიდება მზეს“. ამ უკანასკნელის შემსრულებლები თვით ბავშვები იყვნენ. ეს ოპერა დაიდგა ჩკინიგზელთა სახლში და მოწონება და სიყვარული დაიმსახურა.

კომპოზიტორთა კავშირის საპლენუმო კონცერტები კარგ წარმოდგენას გვაძლევს თანამედროვე ქართული მუსიკის დღევანდელ მდგომარეობაზე. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი ღონე, რომელიც მიუძღვით ჩვენს საშემსრულებლო კოლექტივებს — საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულ სიმფონიურ ორკესტრს (დირიჟორი — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ჯ. კახიძე), საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის სიმფონიურ ორკესტრს (დირიჟორი — ტ. დუღლაძე), ფილარმონიის კვარტეტს, საქართველოს სახელმწიფო კაპელას (ხელმძღვანელი — გ. მუხაშვილი), ანსამბლ სოლისტებს პლენუმის წარმატებაში.

ნ. მამისაშვილი,
მუსიკათმცოდნე.

სურათზე: „ჰამბურგისა“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა მატჩის ერთ-ერთი მომენტი.

იუპი-საკადრისის ტელეფოტო.

ალიკანტეს საზღვაოთმორისო...

ესპანეთის ქალაქ ალიკანტეში რომ მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის მეორე საზღვაოთმორისო ტურნირი დაიწყო, უკვე ვიტყობინებოდით. ახლა შესაძლებლობა გვაქვს მკითხველებს მივაწოდოთ ცნობა, თუ როგორ განაწილდნენ მოასპარეზენი კენჭისყრის შედეგად: **1. ვან დე მეიე (ჰოლანდია), 2. ბაუმშტარკი (რუმინეთი), 3. პროკოპოვიჩი (იუგოსლავია), 4. ივანკა (უნგრეთი), 5. ლემაჩკო (ბულგარეთი), 6. გარსია (კოლუმბია), 7. ვატანი (იაპონია), 8. რანიკუ (სსრ კავშირი), 9. დე არმასი (კუბა), 10. კარასკო დე ბუდენიჩი (ჩილე), 11. ფატალიბეკოვა, 12. გურიელი, 13. ახმილოვსკაია, 14. ლიტინსკაია (ოთხივე — სსრ კავშირი), 15. კელნერი (ავსტრალია), 16 მარკოვიჩი (იუგოსლავია), 17. სეფერაიდი (აშშ), 18. შტერენბერგი (კანადა).**

ნინო გურიელმა რომ ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა, მკითხველმა უკვე იცის. ახლა გაცნობებთ იმასაც, რომ მან ჯერ ვატანი დაამარცხა, შემდეგ რანიკუ, მერე კი დე არმასი.

მთავარი პრეტენდენტები

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) მეთორმეტე ტურში ყურადღების ცენტრში იყო პირველი ადგილების პრეტენდენტების სტურუასა და ზაიჩიკის შეხვედრა, რომელიც ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგით დასრულდა გრძელი-შვილ-ჩეჩელიანისა და ხანთაძე-ბაბაბანოვის პარტიები. უბილავამ დაამარცხა ბოკუჩავა, გიდეონიშვილმა — ჩაჩიბაია, ეფიმოვმა — ვეფხიშვილი. დანარჩენი პარტიები გადადიდო.

11 ტურის შემდეგ სტურუასა და ჩეჩელიანს 7-7 ქულა აქვთ და პირველ-მეორე ადგილებზე არიან. 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს უბილავას, 6 ქულა და 2 გადადებული პარტია — ზაიჩიკს. ეს მოჭადრაკეები ახლა ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტებად ითვლებიან.

35 წლის შემდეგ

მაიაკოვსკი, 25 ოქტომბერი. (საქინფორმის კორ.). მაიაკოვსკის რაიონის სოფელ შუბნის პედაგოგს სოკრატე მესტვერიშვილს გადასცეს მეორე ხარისხის დიდი სამამულო ომის ორდენი და წითელი ვარსკვლავის ორდენი. მეომარმა დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა ბერეზინასთან ბრძოლაში და სარდლობამ იგი წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებად წარადგინა.

მოგვიანებით მეტყვიამფრქვევეთა ოცეულმა, რომელსაც ს. მესტვერიშვილი მეთაურობდა, თავი გამოიჩინა შეპეტოვკისათვის ბრძოლაში. და კვლავ საბრძოლო ჯილდო. მაგრამ მეომარმა ვერ მოასწრო მათი მიღება: იგი მძიმედ იყო დაჭრილი და ჰოსპიტალში გაგზავნეს.

და აი 35 წლის შემდეგ ჯილდომ იპოვა გმირი.

● ●

მოსწავლეთა ქრდადგეგები

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით მიმდინარე სასწავლო წლის საშემოდგომო არდადეგები რესპუბლიკის დაწყებითს, რვაწლიან, საშუალო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში დაიწყება 5 ნოემბრიდან.

მეცადინეობა შეწყდება 3 ნოემბერს, შაბათს. გაკვეთილების შემდეგ და განახლდება 12 ნოემბერს, ორშაბათს.



სურათზე: საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შენობა.

მ. ნასბერგის ფოტო.

ჩემპიონთა თასზე

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩები თბილისის „დინამოსა“ და „ჰამბურგის“ გარდა კიდევ 14 გუნდმა გამართა. გთავაზობთ შედეგებს: „აიაქსი“ (ჰოლანდია) — „ომონია“ (კვიპროსი) 10:0, „დუკლა“ (პრაღა) — „სტრასბურგი“ (საფრანგეთი) 1:0, „დინამო“ (ბერლინი) — „სერვეტი“ (შვეიცარია) 2:1, „ვეილუ“ (დანია) — „ჰაიდუკი“ (იუგოსლავია) 0:3, „ნოტინჰემ ფორესტი“ (ინგლისი) — „არჯესი“ (რუმინეთი) 2:0, „სელტიკი“ (შოტლანდია) — „დანდალკი“ (ირლანდია) 3:2, „პორტო“ (პორტუგალია) —. „რეალი“ (მადრიდი) 2:1.

სად, რა, როდის

გუშინ, გუშინწინ

ხელგუთი. იუგოსლავიის ქალაქ პრისტინში დამთავრებულ იუნიორ გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატში საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1. სსრ კავშირი — 8 ქულა, 2. გდრ — 7, 3. იუგოსლავია — 7,4. უნგრეთი — 6, 5. დანია — 2, 6. საფრანგეთი — 0 ქულა.

ფეხბურთი. მას შემდეგ, რაც ევროპის ჩემპიონატის მეხუთე შესარჩევ ჯგუფში ლუქსემბურგისა და შვეიცის ნაკრები გუნდების მატჩი ფრედ (1:1) დამთავრდა, სატურნირო ცხრილში მდგომარეობა ასეთია: ჩეხოსლოვაკია — 8 ქულა (4 თამაშიდან), საფრანგეთი — 7 (5-დან), შვეიცია — 4 (6-დან), ლუქსემბურგი — 1 (5-დან).

ფიგურული ციგურაობა. ვილნიუსში დაიწყო „სსრ კავშირის პროფკავშირთა თასის“ გათამაშება. ამ ტრადიციულ საერთაშორისო ასპარეზობაში ჩაებნენ უნგრეთის, იტალიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები. ვაჟთა ერთეულების შეჯიბრების საწყის ეტაპზე დაწინაურდა ი. ბობრინი (სსრ კავშირი) — 23,48 ქულა. მომდევნო ადგილებზეც საბჭოთა სპორტსმენები არიან: ვ. რასჩეტნოვი — 21,84 და ბ. უსპენსკი — 21,36 ქულა.

ტანვარჯიში. დრამენში (ნორვეგია) გაიმართა ნორვეგიისა და რუმინეთის ტანმოვარჯიშე ქალთა შეხვედრა. აქ აბსოლუტური პირველობა მოიპოვა რუმინელმა ნადია კომენჩიმ — 79,3 ქულა. მეორე და მესამე ადგილებიც რუმინელებმა დაიკავეს — ემილია ებერლემ (77,95) და ელეტა რუნმა (77,45). გუნდურ ასპარეზობაშიც სტუმრებმა გაიმარჯვეს — 389,25:365,0.

„გურია“, „ლოკომოტივი“ თუ „ყარაბახი“?...

მეორე ლიგის მეოთხე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ასპარეზობის მონაწილე საქართველოს კოლექტივებმა 47-ე ტურის მატჩები ასე დაამთავრეს: „დინამო“ (ზუგდიდი) — „დრუჟბა“ (ოზურგეთი) 3:0, „დინამო“ (სოხუმი) — „დინამო“ (ქიროვი) 2:1, „დინამო“ (ბათუმი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 1:3, „რუბინი“ (ყაზანი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — 0:2, „ტორპედო“ (ტოლიატი) — „ჟოლტი-ოი“ (ფოთი) 1:6, „ტორბინა“ (ნაბერეჟნეი ჩელნი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 0:1, „დილა“ (გორი) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 2:1.

გათამაშების ბოლო ტურის წინ „გურიას“ 64 ქულა აქვს და კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს. სტეფანაკერტის „ყარაბახი“ და სამტრედიის „ლოკომოტივი“ 63-63 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იწყლეებენ. ბოლო ტურში „გურია“ ყაზანში ხვდება ადგილობრივ „რუბინს“, „ლოკომოტივი“ ტოლიატში — „ტორპედოს“, „ყარაბახი“ გორში — „დილას“. ეს მატჩები გაიმართება 28 ოქტომბერს. ამ მატჩების შედეგებმა უნდა გაარკვიოს მეორე ლიგის მეოთხე ზონაში გამარჯვებულის ვინაობა. მკითხველებმა იციან, რომ გუნდი, რომელიც ამ ტურნირში პირველ ადგილს დაიკავებს, გაიყვანს პირველ ლიგაში ითამაშებს.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.



26 ოქტომბერი

პირველი პროგრამით: 09.00 „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — ახალგაზრდებისთვის — ქიმია (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — — შევისწავლოთ ფრანგული ენა, 18.05 — კორნელი კეკელიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სალამოს ვიდეოჩანაწერი, 19.15 — ჩემი კომკავშირი, 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), 20.05 — „ბოთმბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.35 — თეატრალური ახალგაზრდობის ფესტივალი (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — საშინაო მიმოხილვა, 23.05 — „30 წლის შემდეგ“ — კონცერტი.

მეორე პროგრამით: 16.00 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა (ფ.), 16.30 — საგელვეიზიო სპექტაკლი „ვასილი გიორკინი“, 18.20 — განცხადებები (ფ.), 18.25 — საგელვეიზიო დოკუმენტური ფილმი „ცელინოგრადი“, 18.50 — მხაგვრული ფილმი „გული კაცისა“, პირველი სერია (ფ.).



26 ოქტომბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ფიზელი** (მეთორმეტე აბონ. მე-6 წარმ.); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ჯორდანო ბრუნო;** აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **სიყვარულის მგოსანი ვარ...;** მინიატიურების სახელმწიფო — **ზოგიერთის მზის დაბნელება საქართველოში;** რუსთავის სახელმწიფო დრამატული (რკინიგზელთა სახლში) — **დარაბებს მიღმა გაზაფხულია;** საქართველოს ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი — **საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმის დახურვა.** ფოლკლორული კონცერტი; **კინოსაღამოები** „ქართული ფილმის თეატრალური სახელოსნო — **კარებს აჯაბუნებენ.**

ინფორმაცია—79

დრო, ამბები, მოვლენები

თბილისის კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში გაიხსნა გამოფენა „რუმინეთი ტურიზმის ქვეყანა, მეგობართა ქვეყანაა“. ეს გამოფენა მოეწყო ორი ქვეყნის ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით. გამოფენის გახსნისას აღინიშნა, რომ ჩვენს ქვეყანასა და რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის სულ უფრო ფართოვდება მეგობრული ურთიერთობა. საქართველო რუმინეთის ურთიერთობაზე დამსწრეებს ესაუბრა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, პროფესორი ვ. ბერიძე. სტუმართა სახელით სიტყვა წარმოთქვა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტის წარმომადგენელმა რ. ასტელიანუმ, რომელმაც რუმინეთში ტურიზმის განვითარებაზე ილაპარაკა.

გამოფენის დამთვალიერებლები ეცნობიან ფოტოსტენდებს, რომლებზეც აღბეჭდილია რუმინეთის ღირსშესანიშნაობანი, კოლტურის ძეგლები, თვალწარმტაცი ლანდშაფტები, თანამედროვე ტურისტული კომპლექსების ხედები.

რუმინეთის ტურისტული საგენტოები უცხოელ ტურისტებს მათი გემოვნების მიხედვით სთავაზობენ დასვენებას შავი ზღვის სანაპიროზე, კარპატის მთიან კურორტებზე, მოგზაურობას. მდინარე დუნაის დელტის კაყოლებით. აქ მათ განკარგულებაშია მომსახურების ფართო ქსელი — კომფორტული სასტუმროები, კემფინგმოწყობილი პლაჟები, ყოველმხრივ აღჭურვილი სამთო-სათხილამურო ბაზები, გართობა-დასვენების ორიგინალი საშუალებები, მრავალფეროვანი სპორტული ბიუროები. „ტურისტებს რუმინეთში დასვენების, ჯანმრთელობის აღდგენის, ქვეყნის გაცნობის ყველა საშუალება აქვთ“, — ასეთია გამოფენაზე წარმოდგენილი ფოტოსტენდებისა და ბუკლეტების გაცნობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილება.

ზ. ღავთაძე.

ეპრანზეა საგავშვო ფილმები

ბავშვის საერთაშორისო წლისა და საბჭოთა კინოს 60-ე წლისთავის აღსანიშნავად 2 ნოემბერს ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში გაიხსნება ნორჩ კინომოყვარულთა ფილმების ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ქვეყნის 60-მდე სტუდია.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილემ ზ. ლომაძემ საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში თქვა, რომ ნორჩ კინომოყვარულთა ფესტივალის პროგრამა მრავალფეროვანი და საინტერესოა. დღეთიდღე საორგანიზაციო კომიტეტში სულ უფრო მეტი განაცხადი მოდის, უკვე მიღებულია განაცხადები ესტონეთიდან და იაკუტიიდან, ნალჩიკიდან და ნოვოსიბირსკიდან, ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებიდან და ქალაქებიდან.

საკონკურსო ფილმების განსჯვის გარდა ნორჩ კინომოყვარულებს ელით შეხვედრები ქართველ კინემატოგრაფისტებთან, თანატოლებთან. ისინი გაეცნობიან ქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

თბილისელი მოსწავლეები, პიონერთა სასახლის მოყვარულთა სტუდიის „პიონერფილმის“ წევრები ფესტივალზე აჩვენებენ რამდენიმე საინტერესო კინოფიცს.

ჟიურის თავმჯდომარედ დამტკიცებულია რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კინორეჟისორი ს. ჩხაიძე.

ჩხარი მშვენდება

თერჯოლა. სულ უფრო ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება ყოფილი რაიონული ცენტრი ჩხარი. მიმდინარე წელს აქ აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 250-ადგილიანი კინოთეატრი „მეგობრობა“. მის მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ სოფლის მშრომელები. ფეხბურთის სტადიონთან დაიარგო 200 ძირი ხე, კაპიტალურად შეკეთდა სბავშვო ბაგა.

ჩხარში სამი წელია დაიწყო კულტურის სახლის მშენებლობა, რომლის საპროექტო ღირებულება 450.000 მანეთია და 1980 წელს უნდა დამთავრდეს. მშენებელია თერჯოლის საკოლმეურნეობათაშორისო სბაჭო.

ვ. კუტალაძე.

სურათზე: საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შენობა.

მ. ნასბერგის ფოტო.

ნორჩი მხატვრების ახალმოსახლეობა

ცხაკაიაში გაიხსნა ახალი სამხატვრო სკოლა, რომელშიც გამოცდილი პედაგოგების ხელმძღვანელობით ორმოცდაათი ბავშვი ეუფლება ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და გამოყენებითი ხელოვნების საფუძვლებს.

სკოლის გახსნამდე ნიჭიერი ბავშვები პიონერთა და მოსწავლეთა სახლის წრეებში მეცადინეობდნენ. ახლა მათ განკარგულებაშია დიდი, ნათელი სახელოსნოები, სამხატვრო გალერეა, რომელშიც უკვე მზადდება ბავშვის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი ნორჩ მხატვართა შემოქმედების პირველი გამოფენა.

სურათებზე: ბავშვთა ახალი სამხატვრო სკოლა ცხაკაიაში; ნორჩი მხატვრები ცხაკაიელი ოსტატების ნამუშევრებს ეცნობიან.

ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფოტოსტენდი

სურათზე: საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შენობა.

მ. ნასბერგის ფოტო.

რაც დავიწყებით არ იბინდება

გმირის სამშობლოში

ვანი. 25 ოქტომბერი. (საქინფორმის კორ.). ვოლგოგრადის ოლქის კიკვიძის რაიონის მშრომელთა დელეგაციამ, რომელიც აქ ოთხ დღეს იყო, ხელი მოაწერა ვანის რაიონთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას.

ვოლგოგრადის ოლქში დიდ პატივს სცემენ სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის ვ. ი. კიკვიძის ხსოვნას. მის სახელს ატარებს საბჭოთა მეურნეობა, სკოლა, ქუჩა და მოედანი, რაიონულ ცენტრში დადგმულია გმირის ძეგლი, მუშაობს სახლ-მუზეუმი.

ვანის რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს ვოლგოგრადის ოლქში თავიანთი სახსრებით ააგონ გმირის ახალი სახლ-მუზეუმი ქართული ეროვნული სტილით.

35 წლის შემდეგ

მაიაკოვსკი, 25 ოქტომბერი. (საქინფორმის კორ.). მაიაკოვსკის რაიონის სოფელ შუბნის პედაგოგს სოკრატე მესტვერიშვილს გადასცეს მეორე ხარისხის დიდი სამამულო ომის ორდენი და წითელი ვარსკვლავის ორდენი. მეომარმა დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა ბერეზინასთან ბრძოლაში და სარდლობამ იგი წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებად წარადგინა.

მოგვიანებით მეტყვიამფრქვევეთა ოცეულმა, რომელსაც ს. მესტვერიშვილი მეთაურობდა, თავი გამოიჩინა შეპეტოვკისათვის ბრძოლაში. და კვლავ საბრძოლო ჯილდო. მაგრამ მეომარმა ვერ მოასწრო მათი მიღება: იგი მძიმედ იყო დაჭრილი და ჰოსპიტალში გაგზავნეს.

და აი 35 წლის შემდეგ ჯილდომ იპოვა გმირი.

● ●

მოსწავლეთა ქრდადგეგები

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით მიმდინარე სასწავლო წლის საშემოდგომო არდადეგები რესპუბლიკის დაწყებითს, რვაწლიან, საშუალო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში დაიწყება 5 ნოემბრიდან.

მეცადინეობა შეწყდება 3 ნოემბერს, შაბათს. გაკვეთილების შემდეგ და განახლდება 12 ნოემბერს, ორშაბათს.

მიხეილ ხერგიანის მემორიალი

რიწის ტბასთან, მდინარე იუფშარისა და ბეგას ხეობაში მეოთხედ მოეწყო გამოჩენილი მთამსვლელის მ. ხერგიანის მემორიალი კლდეზე ცოცვაში. შეჯიბრებამ, რომელიც უკვე საკავშიროა, მ. ხერგიანის დაღუპვიდან მეათე წლისთავზე, საბჭოთა კავშირის მრავალ გამოჩენილ კლდეზე მცოცავს მოუყარა თავი. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ დნეპროპეტროვსკის, ალმა-ათის, ხარკოვის, დონეცკის, ტაშკენტის, სიმფეროპოლის, მესტიისა და თბილისის სპორტსმენები.

შეჯიბრება გაიმართა კლდეზე ცოცვის სამ სახეობაში: წყვილთა გარბენში, დომბაის წყვილებში და ინდივიდუალურ ცოცვაში. ვაჟთა შორის საუკეთესო იყო საქართველოს ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ლადო გურჩიანი, გოგონათა შორის — საქართველოს ჩემპიონი, სპორტის ოსტატი თამარ ქიტუაშვილი. გარდამავალი თასი მოიპოვა თბილისის პირველმა გუნდმა.

დ. გოზალიშვილი,
საკავშირო კატეგორიის მხაჟი.

ჩვენ და ტრანსპორტი

„კომუნისტის“ ინტერვიუ

უხიფათოდ, უავარიოდ!

გზაზე მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერება

1 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე ჩვენს რესპუბლიკაში ეწყობა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საშემოდგომო დათვალიერება. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსს ვ. რობაბაძეს და რამდენიმე კითხვით მიმართა მას.

რამ განაპირობა ნოემბერში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ჩატარება და რა ძირითად ამოცანებს ისახავს იგი?

— მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყნის საავტომობილო გზებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ავტომოტორანსპორტის რიცხვი და, ბუნებრივია, მოძრაობის ინტენსიურობაც. ამასთან ძალაში შედის შემოდგომა-ზამთრის პერიოდი ხშირი წვიმებით, ნისლიანობით და სხვა რთული მეტეოროლოგიური პირობებით, რაც კიდევ უფრო მეტ საშიშროებას უქმნის ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოებას. ამიტომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით 1 ნოემბრიდან თვის ბოლომდე ჩვენს რესპუბლიკაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საშემოდგომო დათვალიერება ეწყობა.

ერთთვიური თავის ძირითად ამოცანად ისახავს ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობასა და მძღოლთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, ასევე სატრანსპორტო მეურნეობების ხელმძღვანელთა მიმართ მოთხოვნილების, გზაზდას საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკური გამართულობისათვის, რაც თავისთავად დიდ ზეგავლენას მოახდენს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვის შემცირებაზე.

რასაკვირველია, დათვალიერების ძირითადი მიზანია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების, საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევ მძღოლთა და ქვეითად მოსიარულეთა წინააღმდეგ ბრძოლის აქტივიზაციაც.

რა როლი ეკისრებათ რესპუბლიკის სხვა სამინისტროებსა და უწყებებს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლაში, მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერების მომზადებასა და ჩატარებაში?

— იმ დიდი სახელმწიფოებრივი ღონისძიებების განხორციელებაში, რომლებსაც აღნიშნული დათვალიერების პროგრამა ითვალისწინებს, მარტო სახელმწიფო ავტოინსპექციის ძალები არ კმარა. აუცილებლად საჭიროა ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში მთელი ენერგიით ჩაებან რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები. ამიტომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1979 წლის 15 ოქტომბრის განკარგულებით საავტომობილო ტრანსპორტის, საავტომობილო გზების, სოფლის მეურნეობის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროებს, „ცეკავშირის გამგეობას, „საქსახსოფლტექნიკას“, აგრეთვე სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც აქვთ ავტოსატრანსპორტო საწარმოები, დაავალა გამოჰყონ შესაბამისი აპარატების ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობით სპეციალური კომისიები სახელმწიფო ავტოინსპექციის დასახმარებლად. მოიწყონ მორიგეობა და რეიდები რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს გზებზე, შეიმოწმონ გზები შემოდგომა-ზამთრის პირობებში ექსპლოატაციისათვის, გააძლიერონ ავტომეურნეობებში საზოგადოებრივი კონტროლის კომისიათა მუშაობა. ავტომეურნეობებში უნდა გაიმართოს კრებები, რათა ტრანსპორტის თითოეულ მუშაკს განემარტოს მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერების მიზანი და ამოცანები.

ღონისძიების მაღალ დონეზე მოსაწყობად ნაყოფიერ მუშაობას გასწევენ აგრეთვე სახალხო დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები, ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაკები, სახალხო რაზმელთა სპეციალიზებული ჯგუფები და სხვ.

რა საშუალებებით და მეთოდებით იწარმოებს ეს მუშაობა?

— საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის არსენალში მრავალი ეფექტიანი საშუალება და მეთოდია. მაგალითად, სახალხო დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების შესასვლელებში თვალსაჩინო ადგილებზე გამოაკრან შესაბამისი ტრანსპარანტები, ლოზუნგები, რომლებიც მძღოლებსა და ქვეითად მოსიარულეებს გააცნობენ დათვალიერების მიმდინარეობას. საქართველოს ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითმა საზოგადოებამ უნდა გამართოს ლექციები და საუბრები ავტომოტორანსპორტის ინდივიდუალურ მფლობელთა შორის მოძრაობის უსაფრთხოების თემებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი კინოთეატრებში მოაწყობს მოძრაობის უსაფრთხოების თემაზე შექმნილი კინოფილმების ჩვენებას. სათანადო ორგანიზაციების საშუალებით მომზადდება და მოსახლეობაში გავრცელდება პლაკატები, მოწოდებები, სამახსოვროები, გაიმართება თემატიური საუბრები და სხვა. რესპუბლიკის გაზეთებსა და ჟურნალებში სისტემატიურად გამოქვეყნდება მასალები დათვალიერების მიმდინარეობის შესახებ.

როგორც ცნობილია, კვლავ მტკივნეულ პრობლემად რჩება ბავშვთა სატრანსპორტო ტრავმატიზმი. რა ღონისძიებებია დასახული მის აღმოსაფხვრელად?

— დათვალიერებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა ფართო კომპლექსში ამ საკითხს ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია. ბავშვთა სატრანსპორტო ტრავმატიზმი მტკივნეული პრობლემაა არა მარტო სახელმწიფო ავტოინსპექციისათვის, არამედ თითოეული მოქალაქისათვისაც. სახელმწიფო ავტოინსპექციას მთელი რიგი ღონისძიებები აქვს განხორციელებული იმისათვ